

**ფარმაცევტის თანაშემწე 090351**  
**მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

**I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:**

ფარმაცევტის თანაშემწე

**II. პროფესიული განათლების საფეხური: მეხუთე**

**III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**

ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**IV. პროგრამის მოცულობა: 120 პროფესიული კრედიტი;**

სულ 3000 საათი (1 კრედიტი-25 სთ);

აქედან: საკონტაქტო საათი -2414 საათი;

დამოუკიდებელი -586 საათი.

მ.შ. საწარმოო პრაქტიკა - 48 კრ. (1200 საათი);

**V. პროგრამის ხანგრძლივობა – 76 კვირა (-20 თვე)**

**VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც მიღებული აქვს სრული ზოგადი განათლება, რაც დასტურდება ზოგადი განათლების ატესტატით ან უფრო მაღალი საფეხურის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით.

კონკურსის შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი შეფასება ქიმიაში.

**VII. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მომზადდეს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც სათანადო ცოდნითა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით აქტიურ წვლილს შეიტანს მოსახლეობის ჯამრთელობის უზრუნველყოფის სფეროში.

შედეგზე ორიენტირებული განათლება, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ჯანდაცვის მოთხოვნებს და ამავდროულად ეფუძვნება ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს, საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს წარმატებული და

კონკურენტუნარიანი ფარმაცევტის თანაშემწის მომზადებას. სწორედ ეს ორიენტირები იქნება გათვალისწინებული მოცემული სასწავლო პროგრამის განხორციელებისას.

ფარმაცევტული საქმიანობა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი დარგია და საჭიროებს სათანადო პროფილის კადრებს. ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელი შეიძლება დასაქმდეს აფთიაქებში, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, ფარმაცევტულ ბაზებში, ფარმაცევტული პროდუქციის საწარმოებში, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური, წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიებში, სტომატოლოგიურ და სამედიცინო ტექნიკის მაღაზიებში.

### VIII. პროგრამის სწავლის შედეგები:

პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტს განუვითარდება შემდეგი სწავლის შედეგები:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>ფარმაცევტის თანაშემწემ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით: იცის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზოგადი საფუძვლები; მიკრობიოლოგიის საფუძვლები.</p> <p>იცნობს ფარმაცევტულ წარმოებაში და ანალიზურ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესებს;</p> <p>იცის ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების საჭიროებისამებრ მომზადების ზოგადი თეორიული საფუძვლები;</p> <p>იცნობს წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ ტოქსიკოლოგიური ანალიზის ზოგად თეორიულ საფუძვლებს;</p> <p>იცის წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღება, აღრიცხვა;</p> <p>იცის წარმოების პროცესის დაწყებით სტადიაზე (დამხმარე სამუშაოები) ნედლეულისა და მასალების მომზადების (აწონვა, დაწვრილმანება, გაცრა, შერევა, სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა და ა.შ) თეორიული საფუძვლები;</p> <p>იცის მომზადებული პროდუქტის დაფასოება, შეფუთვა, მარკირება;</p> <p>იცის ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატების, პარასამკურნალო საშუალებების), სამედიცინო დანიშნულების საქონლის - საგნების, მასალების, შემავსებლის, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება, შენახვის პირობების უზრუნველყოფა, სერიული აღრიცხვა და ვარგისობის ვადის კონტროლი.</p> <p>.იცის სამკურნალო წამლის ფორმების მომზადების ტექნოლოგიური პროცესი; სამკურნალო წამალთ ფორმების (ტაბლეტების, კაფსულების, მალამოების, ნაყენების, მონახარშების და სხვათა) მომზადების ტექნოლოგიური პროცესების ყველა აუცილებელი მოთხოვნა, რაც</p>
------------------------------	---

	<p>ასახეობა მათ კეთილხარისხოვნებაზე.</p> <p>აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების ხასიათსა და სირთულეს პოულობს გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p> <p>.იცის დაავადებათა სიმპტომატიკა, ხელისშემწყობი ფაქტორები, მედიკამენტოზური თერაპია და სხვა საკვანძო საკითხები;</p> <p>იცის ფარმაკოლოგიის ზოგადი საკითხები, ფარმაცევტული პრეპარატების ჯგუფები, მათი ჩვენებები, უკუჩვენებები, გვერდითი მოვლენები, დოზირებისა და მიღების წესები, სხვა წამლებთან ურთიერთქმედების შედეგად განვითარებული სინერგიზმის და ანტაგონიზმის მექანიზმები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.</p> <p>იცის ფარმაცევტული დაწესებულებები (აფთიაქი, ფარმაცევტული საწარმო და სხვა), მათი ორგანიზაციულ სამართლებრივი სტრუქტურა.</p> <p>იცის ფარმაციის ორგანიზაციისა და ეკონომიკის საფუძვლები.</p> <p>იცის ფარმაცევტული დეონტოლოგიის საფუძვლები; კომუნიკაციური პროცესი და მართვის ეფექტურობა.</p> <p>იცის მარტივი სამედიცინო მანიპულაციების შესრულება, პირველადი სამედიცინო დახმარების მეთოდები სხვადასხვა გადაუდებელი მდგომარეობის დროს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>აღნიშნულ დისციპლინებში მიღებული ცოდნის საფუძველზე ფარმაცევტის თანაშემწეს შეუძლია:</p> <p>ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების დამზადება აფთიაქში, ექიმის რეცეპტის შესაბამისად, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღება, აღრიცხვა;</p> <p>მცენარეული, ცხოველური და მინერალური ნედლეულის დამზადება, შრობა, შენახვა. პირველადი დამუშავება (დაწვრილმანება, გაცრა, შერევა);</p> <p>სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა; ტექნოლოგიური ოპერაციების დაფასოება, შეფუთვა-მარკირება) განხორციელებაში მონაწილეობა;</p> <p>ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, პარასამკურნალო საშუალებები), სამედიცინო დანიშნულების საქონლის-საგნების, მასალების, შემავსებელი, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება, შენახვის პირობების უზრუნველყოფა და ვარგისობის ვადის კონტროლი;</p> <p>მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია და შესაბამისად მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია სამკურნალო საშუალებების ჩვენების, უკუჩვენების და გვერდითი მოვლენების შესახებ.</p> <p>ფარმაცევტული ანალიზისათვის ლაბორატორიის მომზადება; რეაქტივების, ინდიკატორების, ტიტრიანი ხსნარების, ბუფერული ხსნარების მომზადება შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური</p>

	<p>დოკუმენტის მიხედვით, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით;</p> <p>ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ობიექტების გარეგნული დათვალიერება, შეფასება, სინჯების აღება და დამუშავება;</p> <p>წამლის ხარისხის კონტროლისდა ქიმიურ ტოქსიკოლოგიური ანალიზის განხორციელება ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; დოკუმენტაციის წარმოება;</p> <p>სხვებისათვის საკუთარი ცოდნის გადაცემა;</p> <p>შეუძლია იმუშაოს ფარმაცევტულ დაწესებულებებში (აფთიაქი, ფარმაცევტული საწარმო და სხვა). შეძლებს განახორციელოს და მთლიანად მოარგოს თავისი საქმიანობა საქართველოში მოქმედ კანონს „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის“ შესახებ და სხვა ნორმატიულ ტექნიკურ დოკუმენტაციას.</p>
დასკვნის უნარი	<p>ფარმაცევტული ნედლეულის, სამკურნალო საშუალებების, რეაქტივების და სამედიცინო დანიშნულების საქონლის შენახვის პირობების დარღვევის შესახებ დასაბუთებული დასკვნის გაკეთება და აღმოფხვრისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;</p> <p>ფარმაცევტული ნედლეულის, სამკურნალო საშუალებების და რეაქტივების ვარგისიანობის ვადების კონტროლი და დასაბუთებული დასკვნების გაკეთება დროული რეალიზაციის ან ამოღების აუცილებლობის შესახებ.</p> <p>სამკურნალო მცენარეების, მათი შემცველი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების - ნახშირწყლების, ცხიმების, ვიტამინების, ეთეროვანი ზეთების, საგულე გლიკოზიდების, საპონინების, ალკალოიდების ფარმაკოლოგიური თვისებების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასკვნის გაკეთება.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია ქართულ და უცხოურ ენებზე კომუნიკაცია, ინფორმაციის მიწოდება და ანგარიშის წარდგენა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების აფთიაქის პირობებში მომზადების ტექნოლოგიების, ფარმაცევტული, ნედლეულის, პროდუქციის და რეაქტივების ვარგისიანობის ვადებისა და მათი შენახვის პირობების შესახებ;</p> <p>შეუძლია მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან დაკავშირებით.</p> <p>უნარი შესწევს ეფექტურად გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ფარმაცევტული საქმიანობის უზრუნველსაყოფად;</p> <p>უნარი შესწევს გადასცეს და გაუზიაროს მიღებული ცოდნა და ინფორმაცია. აქვს დემონსტრირების უნარი.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია ფარმაციის სასწავლო-საინფორმაციო რესურსების გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა; აცნობიერებს და იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი პროფესიული განვითარების და ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობაზე; აქვს საკუთარი ცოდნის და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი. შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და პირადი ინტერესების გათვალისწინებით შეუძლია</p>

	დამოუკიდებლად განსაზღვროს სწავლის გაგრძელების მიზანშეწონილობა იმავე ან სხვა მონათესავე სპეციალობის მიხედვით.
ღირებულებები	<p>მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას, გაცნობიერებული აქვს სამკურნალო პრეპარატების სპეციფიკიდან გამომდინარე ხარისხის მოთხოვნებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება და უზიარებს სხვებს, აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიულ ღირებულებებთან.</p> <p>წარმოების პროცესში მკაცრად იცავს უსაფრთხოების წესებს, აქვს გუნდში მუშაობის ჩვევები, იცავს ეთიკისა და მორალის პრინციპებს.</p>

### IX. სწავლის შედეგების რუქა

სასწავლო კურსები/მოდულები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ინგლისური ენა				X		
ინფორმაციული ტექნოლოგიები				X		
სამედიცინო ბიოლოგიის საფუძვლები	X					
ადამიანის ნორმალური ანატომია ფიზიოლოგიის საფუძვლებით	X					
არაორგანული ქიმია	X					
ორგანული ქიმია	X					
ლათინური ენა ფარმაცევტული ტერმინოლოგიით				X		
ანალიზური ქიმია	X	X	X			
წამალთა ტექნოლოგია-1	X	X				
ფარმაციის ორგანიზაცია და ეკონომიკა-1	X				X	
ფარმაკოგნოზია ბოტანიკით-1	X	X	X		X	
ფარმაცევტული დახმარების საფუძვლები	X				X	X
ფარმაკოგნოზია ბოტანიკით-2	X	X	X		X	

ფარმაცევტული ქიმია-1	X	X	X		X	
ფარმაცევტული ქიმია-2	X	X	X		X	
ტოქსიკოლოგიური ქიმია	X	X			X	
ფარმაკოლოგია	X	X				
ფარმაციის ორგანიზაცია და ეკონომიკა-2	X	X			X	
ფარმაკოთერაპიის საფ-ბი	X					
სამედიც. და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა	X	X	X			
მიკრობიოლოგია ჰიგიენის საფ.	X					
წამალთა ტექნოლოგია -2	X					
პირველადი სამედიცინო დახმარების საფუძვლები	X	X				
საწარმოო პრაქტიკა-1		X	X	X	X	X
საწარმოო პრაქტიკა -2		X	X	X	X	X

**X. სასწავლო გეგმა  
პირველი წელი**

#	ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება					სულ საათების რაოდენობა	
			საკონტაქტო საათები						
			ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
1	ინგლისური ენა	3	45				4	26	75
2	ინფორმაციული ტექნოლოგიები	3	45				6	24	75
3	სამედიცინო ბიოლოგიის საფუძვლები	2	30				6	14	50
4	ადამიანის ნორმალური	3	45				6	24	75

	ანატომია ფიზიოლოგიის საფუძვლებით								
5	არაორგანული ქიმია	2	30				6	14	50
6	ორგანული ქიმია	3	45				6	24	75
7	ლათინური ენა ფარმაცევტული ტერმინოლოგიით	3	45				4	26	75
8	ანალიზური ქიმია	5	75				6	44	125
9	წამალთა ტექნოლოგია-1	4	60				6	34	100
10	ფარმაციის ორგანიზაცია და ეკონომიკა-1	4	60				6	34	100
11	ფარმაკოგნოზია ბოტანიკით-1	4	60				6	34	100
12	საწარმოო პრაქტიკა (1)	24	-			592	8	-	600
	სულ	60	540			592	70	298	1500

მეორე წელი

#	ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება					სააკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები	სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები							
			ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/ დასკვნითი შეფასება			
1	ფარმაცევტული დახმარების საფუძვლები	2	30				6	14	50	
2	ფარმაკოგნოზია ბოტანიკით-2	3	45				6	24	75	
3	ფარმაცევტული ქიმია-1	2	30				6	14	50	
4	ფარმაცევტული ქიმია-2	5	75				6	44	125	
5	ტოქსიკოლოგიური ქიმია	4	60				6	34	100	
6	ფარმაკოლოგია	3	45				6	24	75	

7	ფარმაციის ორგანიზაცია და ეკონომიკა-2	4	60				6	34	100
8	ფარმაკოთერაპიის საფუძვლები	2	30				6	14	50
9	სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა	2	30				6	14	50
10	მიკრობიოლოგია ჰიგიენის საფუძვლებით	2	30				6	14	50
11	წამალთა ტექნოლოგია-2	5	75				6	44	125
12	პირველადი სამედიცინო დახმარების საფუძვლები	2	30				6	14	50
13	საწარმოო პრაქტიკა (2)	24	-			592	8	-	600
	სულ	60	540			592	80	288	1500

#### **XI. პროგრამის განხორციელების სპეციფიკა**

იხ. დანართი 1, 2.

#### **XII. სწავლების მეთოდები**

წინამდებარე პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდებია:

- ლექცია
- დემონსტრირება
- პრაქტიკული მეცადინეობა
- ჯგუფში მუშაობა

ასევე შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისათვის ადეკვატური სწავლების სხვა მეთოდები. სწავლების კონკრეტული მეთოდები განსაზღვრებული სწავლის შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე, გაწერილია შესაბამისი სილაბუსში.

#### **XIII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება**

კრედიტების მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი
- (B) ძალიან კარგი - მასიმალური შეფასების 81-90 %
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 %
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 %
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 %

უარყოფითი შეფასებებია:



(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41%-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება ითვალისწინებს:

- ა) შუალედურ შეფასებას
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგი დადებითად ითვლება, თუ სტუდენტმა გადალახა ამ გამოცდისათვის გამოყოფილი ქულების 50%-იანი ზღვარი.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში გამოყენებული შეფასების ფორმები და კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსებში.

**XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ**

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ინგლისური ენა	ინდირა თავდგირიძე	ინგლ. ენის მასწავლებელი
ინფორმაციული ტექნოლოგიები	დავით სვანიძე	ინფორმაც. ტექნოლ.სპეციალისტი
სამედიცინო ბიოლოგიის საფუძვლები	ზაირა ჯაფარიძე	ბიოლოგიის მასწავლებელი, დოცენტი
ადამიანის ნორმალური ანატომია ფიზიოლოგიის საფუძვლებით	ნატო ჭიჭილეიშვილი	ექიმი
არაორგანული ქიმია	მზევინარ ქათამაძე	ქიმიკოსი
ორგანული ქიმია	მზევინარ ქათამაძე	ქიმიკოსი
ლათინური ენა ფარმაცევტული ტერმინოლოგიით	მანანა ხაბაძე	პროვიზორი
ანალიზური ქიმია	მზევინარ ქათამაძე	ქიმიკოსი, ექიმ-ლაბორანტი
წამალთა ტექნოლოგია- 1	თამარ თურმანიძე	ფარმაცევტი
ფარმაციის ორგანიზაცია და ეკონომიკა-1	სოფო ხუჯაძე	ფარმაცევტი
ფარმაცოგნოზია ბოტანიკით-1	სოფო ხუჯაძე	ფარმაცევტი
ფარმაცევტული დახმარების	სოფო ხუჯაძე	ფარმაცევტი

საფუძვლები		
ფარმაკოგნოზია ბოტანიკით-2	მანანა ხაბაძე	პროვიზორი
ფარმაცევტული ქიმია-1	მანანა ხაბაძე	პროვიზორი
ფარმაცევტული ქიმია-2	მანანა ხაბაძე	პროვიზორი
ტოქსიკოლოგიური ქიმია	მზევეინარ ქათამაძე	ქიმიკოსი, ექიმ-ლაბორანტი
ფარმაკოლოგია	მანანა ხაბაძე	პროვიზორი
ფარმაციის ორგანიზაცია და ეკონომიკა-2	სოფო ხუჯაძე	ფარმაცევტი
ფარმაკოთერაპიის საფუძვლები	მანანა ხაბაძე	პროვიზორი
სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა	სოფო ხუჯაძე	ფარმაცევტი
მიკრობიოლოგია ჰიგიენის საფ.	ზაირა ჯაფარიძე	ბიოლოგიის მასწავლებელი, დოცენტი
წამალთა ტექნოლოგია-2	თამარ თურმანიძე	ფარმაცევტი
პირველადი სამედიცინო დახმარების საფუძვლები	ნატო ჭიჭილეიშვილი	ექიმი
საწარმოო პრაქტიკა-1	თამარ თურმანიძე	ფარმაცევტი
საწარმოო პრაქტიკა-2	თამარ თურმანიძე	ფარმაცევტი

**XV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ**

წინამდებარე პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ფარმაკო-ქიმიის კაბინეტი; აუდიტორიები, კომპიუტერული კაბინეტი, ინვენტარი. კომპიუტერული კლასი ჩართულია ინტერნეტში. პროფესიული სტუდენტები ისარგებლებენ სპეციალური ლიტერატურით უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკით.

სტუდენტების პროფესიული დაოსტატების მიზნით გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკის გავლა. იგი ითვალისწინებს შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავებას და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას პრაქტიკულ საქმიანობაში. საწარმოო პრაქტიკის გავლა უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე:

1. შპს „ვიტაფარმი“
2. ფარმაცევტული კომპანია „ჰეკატე“
3. შპს „ჟენშენფარმი“
4. შპს „გარანტი-2000“
5. შპს „გვირილა-2“

**XVI. ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ:**

**მანანა ხაბაძე** - პროვიზორი, ფარმაცევტ-ორგანიზატორი.

1999-2005 წწ. მუშაობდა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროში სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის ინსპექციის მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე.

2009 წლიდან მოწვეულია შპს „ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში“ პროფესიული მასწავლებლის პოზიციაზე.

2013 წლის დეკემბერში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ფარმაცევტის თანამშრომლის მოდულური პროგრამის სამუშაო ჯგუფის წევრი.

საკონტაქტო ტელ: 555 43 82 38;

ელ. ფოსტა: Xabadze67@mail.ru